

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №7

ქ. მარტვილი
წელი

05 აპრილი, 2021

სხდომა დაიწყო 12 სთ-ზე დამთავრდა 15სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ალექსი გაბისონია, ალექსანდრე ახვლედიანი, ზურაბ მელიავა, რამაზ ხურცილავა, თორნიკე ჯანაშია, გიორგი გაბუნია, ლევან სურმავა, ელდარ თოდუა, ზაალ გოროზია, ბორის მიქავა, რომან ფონიავა, ირინა გადელია, კობა დარჯანია, გიორგი ხორავა, ელიზბარ ახვლედიანი, დავით ბარამია, შალვა ბახია, გოგი ბასილაია, გოჩა ლაშხია, ზაზა რუხაია, ზაურ ჯახუა, ნათია ქაჯაია, ბესიკ ხაინდრავა, რობერტ კაკულია.

ასევე ესწრებოდნენ: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ალექსანდრე ხურცილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის უფროსები, ა(ა)იპ მარტვილის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის უფროსი როზა ჯანაშია, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი გაბისონია.

მოისმინეს 1: სხდომის თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი და სთხოვა საკრებულოს წევრებს აზრი გამოეთქვათ დღის წესრიგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 23, წინააღმდეგი 0, თავი შეიკავა 1.

დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 აპრილის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

/,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 აპრილის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 აპრილის განკარგულება №14 სხდომის ოქმს თან ერთვის./

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი-ალექსი გაბისონია, საკრებულოს თავმჯდომარე/

2. „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალურის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი-ალექსანდრე ხურცილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე/

3. „მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
/მომხსენებელი-ალექსანდრე ხურცილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე/
4. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების (პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების-სამსახურის უფროსების) ანგარიშის შეფასება 2020 წლის გაწეული მუშაობის შესახებ;
/მომხსენებელი-ქეთევან ბაჩილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების უფროსი/
5. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.
/მომხსენებელი-ქეთევან ბაჩილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების უფროსი/

მოისმინეს 2: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ალექსანდრე ხურცილავას მოხსენება „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალურის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობის ერთჯერადი დახმარება განისაზღვრა 100 ლარით, აქედან გამომდინარე უნდა განხორციელდეს აღნიშნულ დადგენილებაში შესაბამისი ცვლილება.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვას: თორნიკე ჯანაშიამ და გიორგი გაბუნამ, მათ აღნიშნეს რომ აღნიშნული წესი მოქმედებდა წინა წლებშიც გარდა 2020 წლისა და ისინი მიესალმებიან მარტვილის მუნიციპალიტეტის სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობისთვის გარკვეული თანხის გათვალისწინებას.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა გაეცლოთ საკითხის წინ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე. კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 22, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალურის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალურის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 აპრილის დადგენილება №7 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მოისმინეს 3: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ალექსანდრე ხურცილავას მოხსენება „მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო აღნიშნული შესაბამისი ცვლილებები და საკრებულოს წევრებს გააცნო შესაბამისი დადგენილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა გაეცლოთ საკითხის წინ რეგისტრაცია.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 21, წინააღმდეგი 0

დაადგინეს: დამტკიცდეს „მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის № 59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 აპრილის დადგენილება N8 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მოისმინეს 4: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების უფროსის ქეთევან ბაჩილავას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების (პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების–სამსახურის უფროსების) ანგარიშის შეფასება 2020 წლის გაწეული მუშაობის შესახებ;

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ აღნიშნული საკითხი რამდენადაც ვიცი დიდი ხანია დაურიგდათ საკრებულოს ფრაქციებსა და კომისიებს განსახილველად რასთან დაკავშირებით წარმოდგენილია შესაბამისად კომისიების დასკვნები, ასევე თქვენი სურვილის შემთხვევაში მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის უფროსები მზად არიან გაგცეთ დამატებით არსებულ კითხვებზე შესაბამისი პასუხები.

აზრი გამოთქვეს: ელდარ თოდუამ და ზაალ გოროზიამ დასვეს კითხვები კოვიდ-19 პანდემიასთან დაკავშირებით, კერძოდ, მარტვილის მუნიციპალიტეტში აცრების რაოდენობასა და მიმდინარეობაზე.

აღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით ისაუბრა ა(ა)იპ მარტვილის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის უფროსმა როზა ჯანაშიამ. მან აღნიშნა, რომ ამ ეტაპისთვის აცრა ჩაუტარდა მედ პერსონალის გარკვეულ ნაწილს, ასევე მიმდინარეობს დამატებითი ღონისძიებები აცრის შემოტანასა და პანდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა გაეცლოთ საკითხის წინ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 20, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების (პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების–სამსახურის უფროსების) ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების (პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების–სამსახურის უფროსების) ანგარიშის შეფასება 2020 წლის გაწეული მუშაობის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 აპროლის განკარგულება N15 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მოსმინეს 5: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების უფროსის ქეთევან ბაჩილავას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ აღნიშნული საკითხი განიხილა საკრებულოს შესაბამისმა კომისიებმა და ფრაქციებმა, აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილია შესაბამისი დასკვნები და საკრებულოს წევრებს გააცნო 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა გაეცლოთ საკითხის წინ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 20, წინააღმდეგი 0

დაადგინეს: დამტკიცდეს საკითხი, „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე“ და შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 აპრილის განკარგულება N16 სხდომის ოქმს თან ერთვის.“/

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალექსი გაბისონია